



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბემი

ბემი, ხელსაწყო, რითაც რადიოსიგნალების გამოყენებით ხდებოდა ნაღმების შორ მანძილზე აფეთქება (ტერმინი „ბ.“ გამომგონებლის ვ. ი. ბეჭაურისა და ვ. თ. შიტკევიჩის გვარების პირველი მარცვლებიდან წარმოიშვა), შეიქმნა ყოფ. სსრკ-ში 1923–25. არმიის შეიარაღებაში მიღებულ იქნა 1929, როგორც განსაკუთრებული საიდუმლოების ტექნიკა. II მსოფლიო ომის დროს იყენებდნენ ბ-ის გაუმჯობესებულ სახეობებს (ფ.-10, ფ.-40) წინასწარ დანაღმული მტრის სამხ. კომუნიკაციების, სტრატეგიული მნიშვნელობის საინჟინრო-ტექ. ნაგებობების, რკინიგზის კვანძებისა და სადგურების, აეროდრომების და სხვ. შორი მანძილიდან გასანადგურებლად.

ლიტ.: Х а р ч е н к о В. А., ...специального назначения (Боевой путь 1-й гвардейской ниж.-саперной бригады). М., 1973.

ი. ბეჭაური

ე. შოშკოვი
